შპს ,,გორმედი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 5

ინდივიდუალური მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 6

ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 7

ინდივიდუალური კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 8

1. ზოგადი ინფორმაცია 9

2. მნიშვნელოვანი ძირითადი პოლიტიკა 9

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები 23

4. შემოსავლები 24

5. რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება 24

6. გაყიდვის ხარჯები 25

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 25

8. ძირითადი საშუალებები 26

9. არამატერიალური აქტივები 27

10. გრძელვადიანი ინვესტიციები 27

11. მარაგები 27

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 28

13. ფული და ფულის ექვივალენტები 28

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 29

15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 29

16. დაკავშირებული მხარეები 34

17. პირობითი ვალდებულებები 35

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 35

19. ცვლილებები 2018 წლის ანგარიშგებაში 35

თბილისი
მ. კოსტავას ქ. 77
ტელ.: 364281
ფაქსი: (995 32) 364281

შ პ ს
აუდიტ-რეფორმატორი
LTD AUDIT-REFORMER

TBILISI
M.Kostava str. 77
Tel.: 364281
Fax: (995 32) 364281

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ,,გორმედი"-ს დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ დაგვიქირავეს შპს ,,გორმედი" (შემდგომში კომპანია) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად , რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგების, ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით , თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის აბზაცში ასახული საკითხის შესაძლო ეფექტისა, ყველა ასპექტის გათვალისწინებით , სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

პირობითი მოსაზრების გამოთქმის საფუძველს წარმოადგენს კომპანიის მიდგომა ფინანსური აქტივების (დებიტორული დავალიანება) გაუფასურებასთან დაკავშირებით. კომპანიის მიერ არ ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავაჭრო მოთხოვნების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება,ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრავთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ამ მუხლში, აგრეთვე მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. არსებული ფაქტის არსებითი ეფქტის გამო, ჩვენი მოსაზრება დებიტორული დავალიანების გაუფასურებასთან დაკავშირებით მოდიფიცირებულია.

ჩვენ დავინიშნეთ შპს "გორმედი"-ს აუდიტორებად 2019 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, შესაბამისად ვერ შევძელით დავკვირებოდით წლის ბოლოს ჩატარებულ სასაქონლო-მატერიალური მარაგებისა და ძირითადი საშუალებების ინვენტარიაზაციის პროცესს. აუდიტორებად დანიშვნის მომენტიდან ალტერნატიული პროცედურებით შეუძლებელი იყო დავრწმუნებულიყავით მატერიალური მარაგებისა და ძირითადი საშუალებების რაოდენობის სისწორეში. ჩვენ ვერ განვსაზღვრავთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებთან დაკავშირებით, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების

ელემენტებში. არსებითი ეფექტის გამო, ჩვენი მოსაზრება სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებზე 2019 წლის 31 დეკემბრის არსებულ ნაშთებზე და 2019 წლის საწყის შესაბამის ნაშთებზე მოდიფიცირებულია.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი, აუცილებლობის შემთხვევაში, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობასთან და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად საქმიანობის უწყვეტობის პრინციპების გამოყენებაზე, იმ შემთხვევის გარდა , როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სხვა ინფორმაცია

ჩვენ ჩავატარეთ შპს გორმედის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს გორმედის მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოსაგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს გორმედის კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის , საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა, სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე , კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

ყურადსაღებია ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნების მე-19 პუნქტი, რომლის მიხედვითაც შეცვლილია 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ანგარიშგების რამდენიმე მუხლი.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან იმ ეთიკის ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია მენეჯმენტი. სხვა ინფორმაცია მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული

მმართველობის ანგარიშს. ჩვენი დასკვნა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობის ცალკეულ ანგარიშს. ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს ზემოთ აღწერილ სხვა ინფორმაციის გაცნობას მისი ხელმისაწვდომობასთანავე და ამ პროცესში , იმის დადგენას, ხომ არ არის არსებითი შეუსაბამობა, სხვა ინფორმაციასა და ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის დროს მოპოვებულ ინფორმაციას შორის, ან ხომ არ არის იგი სხვაგვარად არსებითი შესცდომების შემცვლელი. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ამ სხვა ინფორმაციასთან არსებითი სახის შეუსაბამობა არსებობს, ჩვენ მოვალენი ვართ, ამ ფაქტის შესახებ მოგახსენოთ. აღნიშნული პასუხისმგებლობის საფუძველზე , მოსახსენებელი არაფერი გვაქვს.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით მოთხოვნილ ინფორმაციის შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების არსებობის შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვის ნაწილის კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევის შესახებ.

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახეული ინფორმაცია თანხვედრაშია ფასს-ების სრულად შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ლერი მჭედლიძე

შპს ,,აუდიტ რეფორმატორის" სახელით

თბილისი, საქართველო

26 ოქტომბერი, 2020

მმართველობის ანგარიშს. ჩვენი დასკვნა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობის ცალკეულ ანგარიშს. ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს ზემოთ აღწერილ სხვა ინფორმაციის გაცნობას მისი ხელმისაწვდომობასთანავე და ამ პროცესში , იმის დადგენას, ხომ არ არის არსებითი შეუსაბამობა, სხვა ინფორმაციასა და ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის დროს მოპოვებულ ინფორმაციას შორის, ან ხომ არ არის იგი სხვაგვარად არსებითი შესცდომების შემცვლელი. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ამ სხვა ინფორმაციასთან არსებითი სახის შეუსაბამობა არსებობს, ჩვენ მოვალენი ვართ, ამ ფაქტის შესახებ მოგახსენოთ. აღნიშნული პასუხისმგებლობის საფუძველზე , მოსახსენებელი არაფერი გვაქვს.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით მოთხოვნილ ინფორმაციის შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების არსებობის შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვის ნაწილის კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევის შესახებ.

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახეული ინფორმაცია თანხვედრაშია ფასს-ების სრულად შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ლერი მჭედლიძე

შპს ,,აუდიტ რეფორმატორის" სახელით

თბილისი, საქართველო

26 ოქტომბერი, 2020

შპს „გორმედი"
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის
ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	11,078,274	11,485,710
არამატერიალური აქტივები	9	57,660	57,660
გრძელვადიანი ინვესტიციები	10	90,853	78,853
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,226,787	11,622,223
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	11	522,447	396,664
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	6,095,942	5,521,245
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	13	13,406,647	9,880,516
სულ მიმდინარე აქტივები		**20,025,037**	**15,798,424**
სულ აქტივები		**31,251,823**	**27,420,647**
ვალდებულება და კაპიტალი			
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**-**	**-**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	1,523,338	1,748,075
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**1,523,338**	**1,748,075**
სულ ვალდებულებბი		**1,523,338**	**1,748,075**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		790,657	790,657
გაუნაწილებელი მოგება		28,864,151	24,808,238
რეზერვები და დაფინანსება		73,677	73,677
სულ კაპიტალი		**29,728,486**	**25,672,573**
სულ ვალდებულება და კაპიტალი		**31,251,823**	**27,420,647**

მთავარ ბუღალტერი: მაია ჯავახიშვილი _____

31 ივლისი, 2020 ქ.გორი, საქართველო
თანდართული შენიშვნები 9-36 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანასური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-3 გვერდებზე.
შპს გორმედი

შპს „გორმედი"
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	11,078,274	11,485,710
არამატერიალური აქტივები	9	57,660	57,660
გრძელვადიანი ინვესტიციები	10	90,853	78,853
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,226,787	11,622,223
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	11	522,447	396,664
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	6,095,942	5,521,245
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	13	13,406,647	9,880,516
სულ მიმდინარე აქტივები		**20,025,037**	**15,798,424**
სულ აქტივები		**31,251,823**	**27,420,647**
ვალდებულება და კაპიტალი			
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	1,523,338	1,748,075
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**1,523,338**	**1,748,075**
სულ ვალდებულებბი		**1,523,338**	**1,748,075**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		790,657	790,657
გაუნაწილებელი მოგება		28,864,151	24,808,238
რეზერვები და დაფინანსება		73,677	73,677
სულ კაპიტალი		**29,728,486**	**25,672,573**
სულ ვალდებულება და კაპიტალი		**31,251,823**	**27,420,647**

მთავარ ბუღალტერი: მაია ჯავახიშვილი _____

31 ივლისი, 2020 ქ.გორი, საქართველო
თანდართული შენიშვნები 9-36 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-3 გვერდებზე.

ინდივიდუალური მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
შემოსავალი	4	19,664,167	14,492,734
რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება	5	(3,644,829)	(2,578,260)
საერთო მოგება		**16,019,339**	**11,914,474**
გაყიდვის ხარჯი	6	(80,226)	(52,921)
საერთო და ადინისტრაციული ხარჯები	7	(9,519,579)	(6,880,330)
		-	
საოპერაციო მოგება		**6,419,534**	**4,981,223**
ფინანსური შემოსავალი		648,001	655,885
ფინანსური ხარჯი		-	-
შემოსავალი კურსთაშორის სხვაობიდან		191,772	78,959
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		439,821	349,392
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(22,162)	(40,208)
პერიოდის მოგება		7,676,966	6,025,252
სხვა სრული შემოსავალი/ხარჯი		-	-
სრული შემოსავალი		**7,676,966**	**6,025,252**
მოგების გადასახადი		(543,158)	-
წმინდა მოგება		**7,133,808**	**6,025,252**

მთავარ ბუღალტერი: მაია ჯავახიშვილი _____

31 ივლისი, 2020 ქ.გორი, საქართველო
თანდართული შენიშვნები 9-36 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანასური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-3 გვერდებზე.

შპს გორმედი

ინდივიდუალური მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
შემოსავალი	4	19,664,167	14,492,734
რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება	5	(3,644,829)	(2,578,260)
საერთო მოგება		**16,019,339**	**11,914,474**
გაყიდვის ხარჯი	6	(80,226)	(52,921)
საერთო და ადინისტრაციული ხარჯები	7	(9,519,579)	(6,880,330)
		-	
საოპერაციო მოგება		**6,419,534**	**4,981,223**
ფინანსური შემოსავალი		648,001	655,885
ფინანსური ხარჯი		-	-
შემოსავალი კურსთაშორის სხვაობიდან		191,772	78,959
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		439,821	349,392
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(22,162)	(40,208)
პერიოდის მოგება		7,676,966	6,025,252
სხვა სრული შემოსავალი/ხარჯი		-	-
სრული შემოსავალი		**7,676,966**	**6,025,252**
მოგების გადასახადი		(543,158)	-
წმინდა მოგება		**7,133,808**	**6,025,252**

მთავარ ბუღალტერი: მაია ჯავახიშვილი _____

31 ივლისი, 2020 ქ.გორი, საქართველო
თანდართული შენიშვნები 9-36 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანასური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-3 გვერდებზე.

ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2018 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარი)

	2019	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
დებიტორებისგან მიღებული ფულადი სახსრები	18,950,393	13,372,111
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(12,720,402)	(7,955,233)
სხვა	3,489	(2,620)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები		
წმიდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**6,233,479**	**5,414,257**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ინვესტიციები	(12,000)	(15,000)
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენიდან	(631,590)	(4,594,961)
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	18,000	75,572
მიღებული პროცენტი	648,001	655,885
მიღებული დივიდენდები	-	-
წმიდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**22,411**	**(3,878,504)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განაღდებიდან	-	-
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	-	-
დამფუძნებლების შემონატანის ზრდა	-	-
დამფუძნებლების შემონატანის შემცირება	-	-
საკუთრების გადაცემის პირობის მქონე იჯარიდან წარმ. ვალდ-ის გადახდა	-	-
სესხის გაცემა	(6,666)	-
გაცემული სესხის დაბრუნება	-	-
სესხის ძირის გადახდა	-	-
სესხის პროცენტის გადახდა	-	-
დივიდენდების გადახდა	(2,924,000)	(2,837,463)
წმიდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	**(2,930,666)**	**(2,837,463)**
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი	200,906	80,196
წმიდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	**3,526,131**	**(1,221,514)**
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	**9,880,516**	**11,102,030**
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	**13,406,647**	**9,880,516**

მთავარ ბუღალტერი: მაია ჯავახიშვილი _____

31 ივლისი, 2020 ქ.გორი, საქართველო
თანდართული შენიშვნები 9-36 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანასური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-3 გვერდებზე.

შპს გორმედი

ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2018 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

	2019	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
დებიტორებისგან მიღებული ფულადი სახსრები	18,950,393	13,372,114
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(12,720,402)	(7,955,233)
სხვა	3,489	(2,620)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები		
წმიდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**6,233,479**	**5,414,257**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ინვესტიციები	(12,000)	(15,000)
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენიდან	(631,590)	(4,594,961)
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	18,000	75,572
მიღებული პროცენტი	648,001	655,885
მიღებული დივიდენდები	-	-
წმიდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**22,411**	**(3,878,504)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განაღდებიდან	-	-
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	-	-
დამფუძნებლების შემონატანის ზრდა	-	-
დამფუძნებლების შემონატანის შემცირება	-	-
საკუთრების გადაცემის პირობის მქონე იჯარიდან წარმ. ვალდ-ის გადახდა	-	-
სესხის გაცემა	(6,666)	-
გაცემული სესხის დაბრუნება	-	-
სესხის ძირის გადახდა	-	-
სესხის პროცენტის გადახდა	-	-
დივიდენდების გადახდა	(2,924,000)	(2,837,463)
წმიდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	**(2,930,666)**	**(2,837,463)**
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი	200,906	80,196
წმიდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	**3,526,131**	**(1,221,514)**
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	**9,880,516**	**11,102,030**
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	**13,406,647**	**9,880,516**

მთავარ ბუღალტერი: მაია ჯავახიშვილი _____

31 ივლისი, 2020 ქ.გორი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 9-36 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-3 გვერდებზე.

შპს გორმედი

ინდივიდუალური კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება	რეზერვები და დაფინანსება	სულ
1 იანვარი, 2018	**790,657**	**19,029,744**	**73,677**	**19,894,078**
მოგება წლის განმავლობაში		6,025,254		6,025,254
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება				
მოგების განაწილება		(246,759)		
31 დეკემბერი, 2018	**790,657**	**24,808,239**	**73,677**	**25,672,573**
მოგება წლის განმავლობაში		7,133,808		7,133,808
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება				
მოგების განაწილება		(3,077,895)		
31 დეკემბერი, 2019	**790,657**	**28,864,152**	**73,677**	**29,728,486**

მთავარ ბუღალტერი: მაია ჯავახიშვილი _____

31 ივლისი, 2020 ქ.გორი, საქართველო
თანდართული შენიშვნები 9-36 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-3 გვერდებზე.

შპს გორმედი

ინდივიდუალური კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება	რეზერვები და დაფინანსება	სულ
1 იანვარი, 2018	**790,657**	**19,029,744**	**73,677**	**19,894,078**
მოგება წლის განმავლობაში		6,025,254		6,025,254
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება				
მოგების განაწილება		(246,759)		
31 დეკემბერი, 2018	**790,657**	**24,808,239**	**73,677**	**25,672,573**
მოგება წლის განმავლობაში		7,133,808		7,133,808
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება				
მოგების განაწილება		(3,077,895)		
31 დეკემბერი, 2019	**790,657**	**28,864,152**	**73,677**	**29,728,486**

მთავარ ბუღალტერი: მაია ჯავახიშვილი _____

31 ივლისი, 2020 ქ.გორი, საქართველო
თანდართული შენიშვნები 9-36 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-3 გვერდებზე.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს გორმედი (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობოს საზოგადოებას , რომელიც დაარსდა 2011 წლის 16 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურდიული მისამართია საქართველო, ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი, N14. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გაწევა. კომპანიის საიდენთიფიკაციო კოდია: 417876711

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კომპანიის მფლობელები	წილი %
გიორგი კაკუშაძე (პ/ნ 01022007427)	45%
გივი სვანაძე (პ/ნ 01025002079)	55%

2. მნიშვნელოვანი ძირითადი პოლიტიკა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1. მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ მიზნით , რომ ხელმძღვანელობამ მოამზადოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისი ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლისათვის.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობამ გამოიყენა საღრიცხვო პოლიტიკა , რის საფუძველზეც იქნება მომზადებული ფასს-ების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა იყენებს სტანდარტების და ინტერპრეტაციების ცოდნას და პრაქტიკას, ახალი სტანდარტები, დამატებები და ინტერპრეტაციები არ გამორიცხავს , რომ ფასს-ების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადებამდე და გამოქვეყნებამდე შესწორდეს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღღიცხვო მოცემულია ქვემოთ . აღნიშნული პოლიტიკა თანმივდევრულადაა გამოყენებული წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა წარმოდგენილი.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებას, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები , რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გ) საქმიანობის უწყვეტობა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე, იმის დაშვებით რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმაძღვანელობას და დამფუძნებელებს სურვილი აქვთ განავითარონ კომპანია. ხელმღძვანელობას სჯერა , რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

2.2 ახალი ფასს-ების მიღება

ა). 2017 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ფასს-15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

2014 წლის 28 მაისს გამოიცა ფასს 15 , რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ (2017 წლის 1 იანვარი) ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლების აღიარების არსებულ

პრინციპს, მათ შორის ბასს 18 -შემოსავლები, ბასს-11 სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15 -ს ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს , რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს , რომ ამით ასახოს კლიენტისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლის ან/და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ,

სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

-კლიენტებთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;

-საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;

-ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;

-ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;

-შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას ასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულებისას, ანუ მაშინ , როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე ,,კონტროლი" კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტური ხასიათის ინსტრუცია დაემატა ისეთ თემებს, როგორიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპეტქტები. ასევე შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

ფასს 9- ფინანსური ინსტრუმენტები. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს- 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს-9 ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების

კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით . 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრისცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9 საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბასს 39-ფინანსური ინსტუმენტები: აღიარება და გაზომვა. ფასს 9 -ის ძირითადი მოთხოვნებია .

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა, საკონტაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინვესტიციები, რომლებსაც პირი ფლობს ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს

ამორტიზირებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია „სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავლებით". აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს , რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნესმოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რომელიც ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტი

გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ , იზომება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინვესტიცია იზომება სამართლიანი ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არასავაჭროდ განკუთვნილისა) სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა. ფინანსური ვალდებულებები, ასევე, ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს , რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლელებებით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების

საკრედიტო რისკით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება.

- **გაუფასურება** . ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურე -
  ბის გაზომვის „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის“ მოდელი, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს, ყოველ საანგარისო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე , რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარების წინ საკრედიტო ცდომილება უსწრებდეს.
  ჰეჯირების აღრიცხვა . შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო მართვის ზომების ხასიათისაა. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი , რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობად, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა „ეკონომიკური ურთიერთობის“ პრინციპით. ასევე, აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონიძიებებთან დაკავშირებით.
- **აღიარების შეწყვეტა .** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39 -დან.

ფასს 16 იჯარა -ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი IF,RC 4 განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC -15 საოპერაციო იჯარა-სტიმულირება და SIC -27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართებლივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღურიცხავ საოპაერაციო ლიზინგს. სანაცვლოდ, რჩება ერთ ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელ ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს. იჯარით გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება- ე.ი იჯარის გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიურად ამავე საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან. კომპანია არ გეგმავს ამ

სტანდარტის ადრე დანერგვას. კომპანია აფასებს მომავალში ფასს 16 -ის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ერთობლივი საქმიანობა გულისხმობს ორი ან მეტი მონაწილე მხარის ერთობლივად კონტროლირებადი ეკონომიკური საქმიანობის წარმართვას, სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე. ერთობლივი კონტროლი წარმოადგენს ხელსეკრულებით დადგენილ ერთობლივ კონტროლს ეკონომიკური

საქმიოანობის ფარგლებში, რომელიც არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც სტარადეგიული ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება უკავშირდება საქმიანობას, რომელიც საჭიროებს ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეთა (სრულუფლებიანი მონაწილე) ერთსულოვან თანხმობას. წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგრარიშგებაში ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოში აღრიცხულია თვითღირებულებით.

2.3. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფულქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანაგარიშგება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება ინდივიდუალური მოგებისა ან ზარალის ანგარიშებზე.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები , რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ფინანსური ინტრუმენტებიდან წარმოშობილ

საკურსო მოგება და ზარალი წარდენილია ინდივიდუალურ მოგება ან ზარალის სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო სიდიდით.

2019 წლის 31 დეკემბერს უცხოური ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი :

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	**დოლარი**	**ევრო**
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

2.5 შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

2.5.1 პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაღზაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე აღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

2.5.2 მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების ღირებულების მიხედვით. შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკანშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით . თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საეჭვო გახდება ადასახადელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

2.6 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარისგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი სარგებლის შემცირება, რაც ადაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში , თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანში აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

2.7 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში , როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახდით დაბეგვრას. საქართველოს საგადასახდო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით საანგარიშგებო პერიოდისთვის , რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს , საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახდო ღირებულებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

2.8 გადასახდები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2.9 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის, ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის ტემონტთან აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას , დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს მთლიანად მათი სასარგებლო

მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალების ყველა ჯგუფისთვის. კომპანიას საკუთრებაში არსებულ მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობა	20-50
დანადგარები	5-20
ავტოტრანსპორტი	5-10
ოფისის დანადგარები, აღჭურვილობა და ავეჯი	5-10
სხვა	5-10

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით პერპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ , როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმიდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაითვლება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

2.10 იჯარა

2.10.1 ფინანსური იჯარა- კომპანია როგორც მოიჯარე

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადმოცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

იჯარის ვადის დასაწყისისათვის ფინანსური იჯარა აღიარდება ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც აქტივი და ვალდებულება საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელები

დისკონტირებული ღირებულებით, რომელიც გაანგარიშებულია იჯარის დასაწყისში. მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშებისათვის გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი არის საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი. თუ მისი დადგენა შეუძლებელია გამოყენებული აქვს კომპანიას ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი. ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯი ემატება აქტივის სახით აღიარებულ თანხას.

მინიმალური საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხული ფიანანსური ხარჯებისა და გადაუხდელი ვალდებულებების შემცირების პროპორციულად. ფინანსური ხარჯები იჯარის მთლიანი ვადის განმავლობაში, თითოეულ საანგარიშგებო პერიოდზე ნაწილდება, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულებების ნაშთის მიმართ. პირობითი საიჯარო გადასახდელები ხარჯად აღირიცხება იმ პერიოდში, როდესაც იქნა გაწეული.

ფინანსური იჯარა წარმოშობს ცვეთადი აქტივის ცვეთის ხარჯს, ასევე ფინანსურ ხარჯს ყოველ საანგარიშგებო პერიოდში. ფინანსურ იჯარაზე ცვეთის დარიცხვის პოლიტიკა შეესაბამება კომპანიას მიერ არჩეულ ცვეთის პოლიტიკას, რომელიც გამოიყენება კომპანიას მიერ ფლობილი აქტივებისათვის. თუ არ არსებობს საკმარისი რწმუნება, რომ კომპანიას გადმოეცემა აქტივი ფინანსური იჯარის ვადის გასვლის შემდეგ, ფინანსური იჯარიდან წარმოქმნილ აქტივს ცვეთა ერიცხება ფინანსური იჯარის ვადასა და სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესი პერიოდის განმავლობაში.

2.10.2 საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში , რომელშიც ისინი გაიწევა.

2.11 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები , რომლებსაც სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრული აქვთ აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო მომსახურების გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ყოველი

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პესპექტიულად. არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 5-15 წელს. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

2.12 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება , გუდვილის გარდა

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი. ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები. თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ ინდივიდუალურ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

2.13 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად.

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების კონვერსიის დანახარჯებზე ხდება საშუალო საწარმოო სიმძლავრის მიხედვით. საშუალო საწარმოო სიმძლავრე არის წარმოების ისეთი დონე, რომლის მიღწევაც საშუალოდ მოსალოდნელია რამდენიმე საწარმოო პერიოდის ან სეზონის განმავლობაში წარმოების ნორმალურ პირობებში, საწარმოო სიმძლავრეების გეგმური შენახვის ზარალის გათვალისწინებით. კომპანია იყენებს წარმოების ფაქტობრივ დონეს, თუ იგი უახლოვდება წარმოების საშუალო სიმძლავრეს. წარმოებული პროდუქციის ერთეულზე მისაკუთვნებელი მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა არ იზრდება დაბალი მწარმოებლურობის ან მოწყობილობების მოცდენების გამო. გაუნაწილებელი ზედნადები ხარჯები ჩაითვლება იმ პერიოდის ხარჯებად, რომელშიც იქნა გაწეული.

საანგარიშგებო პერიოდში, რომლისთვისაც დამახასიათებელია წარმოების განსაკუთრებულად მაღალი დონე, პროდუქციის ერთეულზე მიკუთვნებული მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა იმ ოდენობით მცირდება, რომ არ მოხდეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასება თვითღირებულებაზე მაღალი თანხით. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება პროდუქციის ერთეულზე ხდება საწარმოო სიმძლავრეების ფაქტობრივი გამოყენების მიხედვით. მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეზალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების

მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

2.14 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

2.15 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა. ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

2.16 ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს თავის ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა). პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე არის აღირებული მოგებაში ან ზარალში.

2. მნიშვნელოვანი ძირითადი პოლიტიკა (გაგრძელება)

2.16.1 ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კონკრეტულ კატეგორიებად: რეალური ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებად, გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად, და სესხებად და მოთხოვნებად. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის ხასიათსა და მიზნობრიობაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

კომპანიას მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფული და ფულის ეკვივალენტებს და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების კომპანიას) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გარდა მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული აქტივებისა.

ფული და ფულის ექვივალენტი

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან ცვლადი გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს შესაძლო გაუფასურების ინდიკატორად:

- ემიტენტის ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;

- კონტრაქტის პირობების დარღვევა;

- ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;

- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია

ფინანსური აქტივები რომელთა გაუფასურება ინდივიდუალურმა შეფასებამ არ გამოავლინა, დამატებით, კოლექტიურადაც ფასდება გაუფასურების დასადგენად. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული

ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ანალოგიურ ფინანსურ აქტივზე არსებული საბაზრო უკუგების განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით. ასეთი გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდებში არ შებრუნდება. ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით ყველა ფინანსური აქტივის შემთხვევაში. გამონაკლისია სავაჭრო და სხვა მოთხოვნები რომელთა შემთხვევაშიც საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით.

გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემოებას, უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით იმდენად, რომ გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ ამორტიზებად ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. თუ კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, კომპანია აღიარებს თავის შენარჩუნებულ ინტერესს აქტივში და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში, იმ თანხების ოდენობით, რომელთა გადახდაც მას შეიძლება მოუხდეს. თუ კომპანია ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, კომპანია აგრძელებს

ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს მიღებული თანხებისთვის უზრუნველყოფილ ნასესხებ სახსრებს.

ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებასა და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

2.16.2 ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიღებულ სესხებად, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებად. ფინანსური ვალდებულება საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით. ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ კომპანიას ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. აღიარება შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში.

2.16.3 ფინანსური აქტივების და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

2.17 საწესდებო კაპიტალი

კომპანიას საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიას წესდებით. კომპანიას წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

2.18 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება სროგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება

კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველწლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

3.2 აქტივების გაუფასურება გარდა გუდვილისა

კომპანია პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.3 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურებას წარსული გამოცდილების საფუძველზე. მომავალ

პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.4 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა. ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. შემოსავლები

შემოსავალი 2019 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019
შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან/საქონლიდან	19,663,001
სხვა შემოსავალი	1,166
სულ	**19,664,167**

5. რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება

შემოსავალი 2019 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019
რეალიზებული მედიკამენტების/მომსახურების თვითღირებულება	(3,644,829)
სულ	**(3,644,829)**

თვითღირებულება მოიცავს მხოლოდ რეალიზებული მედიკამეტების დანახარჯებს. ხელფასი და სხვა ხარჯები ასახულია საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

6. გაყიდვის ხარჯები

გაყიდვის ხარჯები 2019 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019
ტრანსპორტირების ხარჯი	(71,275)
მიწოდების სხვა ხარჯები	(8,951)
სულ	**(80,226)**

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2019 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	
	31.12.2019
შრომის ანაზღაურება	7,364,895
რემონტის ხარჯი	191,422
საპენსიო შენატანი	89,312
საიჯარო ქირა	2,400
კომუნიკაციის ხარჯი	18,597
კომპიუტერის ხარჯი	32,522
საკონსულტაციო ხარჯი	10,600
დაცვის მომსახურების ხარჯი	7,472
საკანცელარიო ხარჯი	53,569
ცვეთა და ამორტიზაცია	1,033,173
საეჭვო მოთხოვნების კორექტირება	111,154
საგადასახადო ხარჯი	10,285
კომუნალური ხარჯი	408,928
ბანკის მომსახურების ხარჯი	1,021
საოფისე ხარჯი	32,163
სხვა ხარჯი	152,067
სულ	**9,519,579**

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობები	მშენებარე აქტივები	მანქანა-დანადგარები და ტრანსპორტი	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	სხვა	სულ
31.12.2017	433,010	4,582,508	1,360,431	2,915,357	640,367	262,100	10,193,773
შემოსვლა		3,525,487	1,592,152	2,066,010	263,988	79,951	7,527,588
გასვლა				(130,768)	(3,200)	(154)	(134,123)
რეკლასიფიკაცია			(2,952,583)				(2,952,583)
31.12.2018	433,010	8,107,996	-	4,850,599	901,154	341,897	14,634,656
შემოსვლა				557,842	53,323	30,610	641,774
გასვლა				(26,864)	(320)	(463)	(27,647)
რეკლასიფიკაცია							-
31.12.2019	433,010	8,107,996	-	5,381,576	954,157	372,044	15,248,783
							-
დაგროვილი ცვეთა							-
31.12.2017		(621,843)		(1,378,844)	(395,678)	-	(2,396,365)
ცვეთა		(212,160)		(500,039)	(85,999)		(798,198)
ცვეთის ამობრუნება გასვლაზე				45,618			45,618
31.12.2018	-	(834,003)	-	(1,833,266)	(481,676)	-	(3,148,945)
პერიოდის ცვეთა		(311,362)		(622,592)	(99,218)		(1,033,173)
ცვეთის ამობრუნება გასვლაზე				11,610			11,610
31.12.2019		(1,145,365)	-	(2,444,249)	(580,895)	-	(4,170,509)
							-
წმინდა საბალანსო ღირებულება							-
31.12.2018	433,010	7,273,993	-	3,017,333	419,478	341,897	11,485,710
31.12.2019	433,010	6,962,630	-	2,937,328	373,262	372,044	11,078,274

9. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	ლიცენზიები	სხვა	სულ
31.12.2017	200	59,944	60,144
შეძენა	788.5	2485	3273.5
გასვლა		(5,757)	(5,757)
31.12.2018	989	56,671	57,660
შეძენა			0
გასვლა			0
31.12.2019	989	56,671	57,660

დაგროვილი ცვეთა			
31.12.2017	0	0	0
ცვეთა	0	0	0
31.12.2018	0	0	0
პერიოდის ცვეთა	0	0	0
31.12.2019	0	0	0

წმიდა საბალანსო ღირებულება			
31.12.2018	989	56,671	57,660
31.12.2019	989	56,671	57,660

10. გრძელვადიანი ინვესტიციები

ინვესტიციის თვითღირებულება	მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში
31.12.2017	63,853
ინვესტიციის ზრდა	15,000
ღირებულების შემცირება/გადაფასება	
31.12.2018	78,853
ინვესტიციის ზრდა	12,000
ღირებულების შემცირება/გადაფასება	-
31.12.2019	90,853

11. მარაგები

მარაგები 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
საქონელი	435,049.08	344,409.64
ნედლეული და მასალები	85,290.19	49,976.77
სხვა სასაქონლო -მატერიალური მარაგები	2,108.12	2,277.34
სულ:	**522,447.39**	**396,663.75**

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	6,066,794	5,510,632
საეჭვო ვალების რეზერვი	-	-
სულ ფინანსური მოთხოვნები	6,066,794	5,510,632
სხვა გადახდილი ავანსები	22,915	8,207
წინასწარ გადახილი გადასახადები		
ავანსები პერსონალზე	6,233	2,405
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		
სულ მოთხოვნები	**6,095,942**	**5,521,245**

13. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული ბანკში	13,377,986	9,857,343
ფული სალაროში	28,661	23,173
სულ	**13,406,647**	**9,880,516**

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნირად:

	31.12.2019	31.12.2018
მიღებული ავანსები	18,734	45,414
მომწ. წარმოქმნილი სხვა ვალდებულებები	1,023,824	1,193,370
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	446,828	474,235
საგადასახადო ვალდებულებები	33,952	35,055
სულ	**1,523,338**	**1,748,075**

15. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა

კომპანიას ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია :

- საპროცენტო რისკი
- საკრედიტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიას ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიას ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,095,942	5,521,245
ფული და ფულის ეკვივალენტები	13,406,647	9,880,516
სულ ფინანსური აქტივები	**19,502,589**	**15,401,761**

	31.12.2019	31.12.2018
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,523,338	1,748,075
სესხები და ფინანსური იჯარა	0	0
სულ ფინანსური ვალდებულებები	**1,523,338**	**1,748,075**

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგებაში წარმოადგენილი ზოგიერთი აქტივის და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);

- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპერიული მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;

- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპერიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტები

სამართლიან ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის

ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. კომპანიას ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით ან აქვს მცოცავი საპროცენო განაკვეთი, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების და ფინანსური იჯარის მეორე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი სესხებისთვის მერყეობს 8%-დან 12%-მდე, ხოლო ფინანსური იჯარის 16%-დან 27%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების და ფინანსური იჯარის რეალური ღირებულება შეფასებულია მეორე დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგებისმაქსიმიზაცია,

მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიას ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში,

კომპანიას ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიას ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიას რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიას ფინანსური მხარისთვის. კომპანიას ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიას ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიას ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორცილებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს არანაირ დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019		31.12.2018	
	აშშ დოლარი	**ევრო**	**აშშ დოლარი**	**ევრო**
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	3,057,550	91,173	2,774,192	63,557
სულ ფინანსური აქტივები	3,057,550	91,173	2,774,192	63,557

	31.12.2019		31.12.2018	
	აშშ დოლარი	**ევრო**	**აშშ დოლარი**	**ევრო**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	-	
სესხები	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულება	**-**		**-**	
წმიდა სავალუტო პოზიცია	**3,057,550**	**91,173**	**2,774,192**	**63,557**

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიას მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიას ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიას ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. გავლენა წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	აშშ დოლარი/ლარი +20 %	**ევრო/ლარი +20 %**	**აშშ დოლარი/ლარი -20%**	**ევრო/ლარი -20%**
მოგება/ზარალი	**611,510**	**18,235**	**611,510**	**18,235**

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიას ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიას საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშრებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიას საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, საბანკო დეპოზიტებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, ბითუმად მოვაჭრეა თუ საცალოდ, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელეების არსებობას. მაღალრისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	**31.12.2018**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,095,942	5,521,245
ფული და ფულის ეკვივალენტები გარდა ნაღდი ფულისა	13,377,986	9,857,343
სულ	**19,473,929**	**15,378,588**

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით.

16. დაკავშირებული მხარეები

ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31.12.2018			
	დამფუძნებლები	**სხვა**	**სულ**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	**-**
საეჭვო ვალების რეზერვი		-	**-**
წმიდა სავაჭრო მოთხოვნები		**-**	**-**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		472,844	**472,844**
სესხები		-	**-**
შემოსავალი		-	**-**
ხარჯები		-	**-**

31.12.2019			
	დამფუძნებლები	**სხვა**	**სულ**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		-	**-**
საეჭვო ვალების რეზერვი		-	**-**
წმიდა სავაჭრო მოთხოვნები		**-**	**-**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	235,941	**235,941**
სესხები		-	**-**
შემოსავალი		-	**-**
ხარჯები		-	**-**

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა შესაბამისად 49 050 ლარს.

17. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიას ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი დარიცხული აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის საანგარიშო პერიოდის ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის კომპანიაში არ ქონია ადგილი ისეთ მოვლენებს რაც საჭიროებს ანგარიშგებაში მოცემული პერიოდის კორექტირებას ან შენიშვნებში მათ ასახვას.

19. ცვლილებები 2018 წლის ანგარიშგებაში

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დამტკიცებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ იყო ასახული რამდენიმე ოპერაცია, რომელიც გამოწვეულია იმ მიზეზით რომ დოკუმენტები ბუღალტერიის განყოფილებას მიეწოდა ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების შემდგომ, შესაბამისად ვერ მოხდა მათი დროული ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში.

შენიშვნა	ბალანსის მუხლი	ცვლილებამდე	ცვლილების შემდგომ	გადახრა
1	გაუნაწილებელი მოგება	24,921,355	24,808,238	113,117
2	ძირითადი საშუალებები	11,485,864	11,485,710	(154)
3	მარაგები	436,867	396,664	(40,204)

4	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,570,503	5,521,245	(49,258)
5	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,724,574)	(1,748,075)	(23,501)
	სულ			(0)

შენიშვნა	მოგება-ზარალის ანგარიშგების მუხლი	ცვლილებამდე	ცვლილების შემდგომ	გადახრა
2	არასაოპერაციო ხარჯი	40,054	40,208	154
3,4,5	საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	6,768,963	6,880,329	111,366
4	შემოსავალი მომსახურების/საქონლის რეალიზაციიდან	14,494,331	14,492,734	1,597
	სულ			113,117

1. როგორც ცხრილშია ასახული გაუნაწილებელი მოგების ცვლილება (შემცირება) განპირობებულია ძირითადი საშუალებების ღირებულების შემცირებით, მარაგების ღირებულების შემცირებით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირებით და ვალდებულებების ზრდით.
2. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ცვლილება გამოიწვია ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტის დაკორექტირებამ. გაიზარდა არასაოპერაციო ხარჯი 154 ლარით.
3. 2018 წლის ბოლოს მარაგების საბოლოო ნაშთი შემცირებულია 40 204 ლარით, რაც განპირობებულია სარემონტო მასალების ჩამოწერის აქტების ანგარიშგების გამოცემის შემდგომ ასახვით. სხვაობით გაიზარდა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში ცვლილება განპირობებულია შემდეგით: 1. დაკორექტირდა (შემცირდა) ამონაგები. 1597 ლარით. 2. ანგარიშგებაში გამოცემის შემდგომ აისახა ხარჯის დოკუმენტები 47662 ლარის ოდენობით.
5. სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ცვლილება განპირობებულია შემდეგით: ბალანსის გამოცემის შემდგომ დაკორექტირდა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.

მმართველობის ანგარიშგება

შპს „გორმედი”

ინფორმაცია კომპანიის და მისი საქმიანობის შესახებ.....2
საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა 2
კლინიკის მოკლე ისტორია:.....4
კლინიკის ძირითადი პროდუქტები/მომსახურება და საქმიანობის ძირითადი
არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა: 4
საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.....7
განვითარების გეგმები 8
ინფორმაცია საკუთარი წილების შეძენის შესახებ 8
დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ 9
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები 9

ინფორმაცია კომპანიის და მისი საქმიანობის შესახებ

საწარმოს სრული დასახელება - შპს „გორმედი“
საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი - ს/კ 417876711
იურიდიული მისამართი - საქართველო, გორი, ცხინვალის გზატ., N14
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი და თარიღი- 16/12/2011
საკონტაქტო ტელეფონი- +995 595 53 49 91
ელ.ფოსტა- G.GORIMEDI@yahoo.com;
გენერალური დირექტორი - გივი სვანაძე.

საქმიანობის სფერო (“ეკონომიკური საქმიანობის სახეების”- სეკ-ის მიხედვით)- სამედიცინო მომსახურების გაწევა.

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

შპს „გორმედი“-ს ძირითადი საქმიანობის სახეა სამედიცინო საქმიანობა.

კლინიკა წარმოადგენს მრავალპროფილურ საავადმყოფოს, რომელიც ქვეყნის მოსახლეობას აწვდის როგორც სტაციონარულ, ისე ამბულატორიულ სამედიცინო სერვისებს.

სამედიცინო საქმიანობის იურიდიული საფუძველი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მიერ, 2013 წლის 28 მარტის გამოცემული № 02-406/ო ბრძანების საფუძველზე კლინიკას მიღებული აქვს სტაციონარული დაწესებულების ნებართვა N005586, რომლის საფუძველზეც ახორციელებს სტაციონარულ და ამბულატორიულ სამედიცინო საქმიანობას სანებართვო მოწმობის დანართის ფარგლებში.

ნებართვები:

1. სტაციონალური დაწესებულების ნებართვა №005586;
2. 5. ლაბორატორიული საქმიანობა - კლინიკური დიაგნოსტიკა №004100;
6. ლაბორატორიული საქმიანობა - ბიოქიმიური დიაგნოსტიკა №004101;
7. ლაბორატორიული საქმიანობა - იმუნოლოგიური და სეროლოგიური დიაგნოსტიკა №004102;
8. მიკრობიოლოგიური დიაგნოსტიკა- №004103;
9. ქირურგიული პროფილის საქმიანობა №002707;
10. რადიოლოგიური საქმიანობა - რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა №002711;
11. რადიოლოგიური საქმიანობა - კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევა №002712;
12. პათოლოგანატომიური საქმიანობის ლიცენზია №002137;

13. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება - EMERGENSY - №002136;
14. რეანიმაცია №002710
15. დიალიზი №003123;
16. ნეიროქირურგია №002708;
17. ინტერვენციული კარდიოლოგია №003099

28.სამეანო გინეკოლოგიური პროფილის საქმიანობა-გინეკოლოგია №002709;

19. ოფთალმოლოგია №002713;
20. ოტოლარინგოლოგია №002714;
21. საწარმოო ტრანსფუზიოლოგიური საქმიანობის ლიცენზია №002138;
22. ინფექციურ დაავადებათა მბურნალობა №002705;
23. ონკოლოგია №002706;

კლინიკის მოკლე ისტორია

კლინიკა არსებობს 2012 წლის იანვრიდან და დღეის მდგომარეობით არის მრავალპროფილური სამედიცინო დაწესებულება, რომელიც მოსახლეობას სთავაზობს ამბულატორიულ, კლინიკურ და დიაგნოსტიკურ მომსახურებებს.

კლინიკა ატარებს ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი სამედიცინო დაწესებულების სახელს. შენობას აქვს ვენტილაციის, ცენტრალიზებული წყალმომარაგების, ელექტრომომარაგების, გათბობის და კონდენცირების ცენტრალიზებული სისტემა, აგრეთვე, ავტონომიური დენის წყარო. პაციენტთა სამედიცინო მომსახურების საქმეში უწყვეტობის შენაჩუნების და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით კლინიკას გააჩნია ელექტრო და წყალმომარაგების ალტერნატიული, სარეზერვო წყაროები.

გარდა ამისა, კლინიკას გააჩნია საკუთარი, სამედიცინო ჟანგბადის მიმღები (წარმოება) დანადგარი.

კლინიკის ძირითადი პროდუქტები/მომსახურება და საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა

კლინიკა მოსახლეობას 150-ზე მეტი დასახელების სამედიცინო მომსახურებას აწვდის. კლინიკის მიერ უზრუნველყოფილი სერვისების არასრული ჩამონათვალია: ახალშობილთა ინტენსიური მოვლა; სამეანო - ნეონატალური საქმიანობა; ნეონატოლოგია; ლაბორატორიული საქმიანობა - კლინიკური დიაგნოსტიკა; ლაბორატორიული საქმიანობა-ბიოქიმიური დიაგნოსტიკა; ლაბორატორიული საქმიანობა იმუნოლოგიური და სეროლოგიური დიაგნოსტიკა; ონკოლოგიური და ქირურგიული პროფილის საქმიანობა; ფსიქიატრია (მათ შორის ბავშვთა და მოზრდილთა); ნეიროქირურგიული საქმინობა; ინტერვენციული კარდიოლოგიური მომსახურება და სხვა. კლინიკაში დღეის მდგომარეობით დასაქმებულია 571 თანამშრომელი.

სტატისტიკურად დასაქმებულთა რაოდენობა წლების მიხედვით გამოიყურება შემდეგნაირად:

დასახელება	**2019**	**2018**	**2017**
1	**2**	**3**	**4**
დასაქმებულთა რაოდენობა წლების მიხედვით	**773**	**571**	**450**

კლინიკა სამედიცინო საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო გაიდლაინებითა და პროტოკოლებით. კლინიკის ექიმები სისტემატურად გადიან პროფესიულ მომზადებას, ექიმებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი ინფორმაციები, სხვადასხვა დაავადებების და მდგომარეობის მართვის შესახებ.

შემოსავლები, კლინიკური განყოფილებების მიხედვით, ავადმყოფთა მოძრაობის ანგარიშის მიხედვით, მიღებული იქნა წლების მიხედვით შესაბამისი საწოლ-დღეების მიხედვით. მათ შორის

2019 წელს კლინიკის შემოსავლები, კლინიკური განყოფილებების მიხედვით, ავადმყოფთა მოძრაობის ანგარიშიდან გამომდინარე, მიღებული იქნა გატარებული პაციენტებისა და შესაბამისი საწოლ-დღეების მიხედვით. მათ შორის:
თერაპიული სამსახურის 2019 წლის სტატისტიკური მონაცემები გამოიყურება შემდეგნაირად: მკურნალობას გადიოდა 2311 პაციენტი; სულ 10566 ს/დღე;

ლაბორატორიული დეპარტამენტი:

ლაბორატორიულ დეპარტამენტში სრულდება სტანდარტით გათვალისწინებული სხვადასხვა სახის კვლევები, მაგალითად: კლინიკური; ბიოქიმიური; სეროლოგიური; კოაგულოლოგიური; ციტოლოგიური; იზოსეროლოგიური და იმუნოლოგიური.

ა) ჩატარებული გამოკვლევები - 164226,
მათ შორის ამბულატორიულად ჩატარებული გამოკვლევები - 88856

ბ) გამოკვლეული პაციენტები - 75370

მიმღებ-გადაუდებელი მედიცინის სამსახური - EMERGENCY:
წლის განმავლობაში მიღებულ იქნა 17238 პაციენტი, 24 საათამდე დაყოვნებით.
სტატისტიკური მაჩვენებელი წლების მიხედვით გამოიყურება შემდეგნაირად:

კარდიოინტენსიური სამსახური:

კარდიოინტენსიური სამსახურის 2019 წლის მონაცემების მიხედვით 2019 წელს მიღებული პაციენტების რაოდენობამ შეადგინა 1398 პაციენტი, რომელმაც საწოლდღეების მიხედვით შეადგინა - 7884 საწოლდღე.

ნევროლოგიური სამსახური:

ა) 2019 წელს ნევროლოგიურ სამსახურში ჰოსპიტალიზირებულია 694 პაციენტი.
ბ) 2019 წელს საწოლდღეების მიხედვით გატარებული იქნა 4206 საწოლ დღე.

ინფექციური განყოფილება:

2019 წლის მონაცემების მიხედვით 2019 წელს მიღებული პაციენტების რაოდენობამ შეადგინა 731 პაციენტი, რომელმაც საწოლდღეების მიხედვით შეადგინა - 2060 საწოლდღე.

ქირურგიულ- ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის დეპარტამენტი:

ქირურგიულ- ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის დეპარტამენტის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, დეპარტამენტში მოთავსდა 3367 პაციენტი, პაციენტების ამ რაოდენობამ კლინიკაში გაატარა 9446 საწოლდღე.

კრიტიკული მედიცინისა და ინტენსიური თერაპიის განყოფილება:

კრიტიკული მედიცინისა და ინტენსიური თერაპიის სამსახური ფუნქციონირებს 2012 წლიდან. განყოფილებაში დახმარება გაეწია კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფებს სხვადასხვა ნოზოლოგიით. სულ განყოფილებამ 2019 წელს გაატარა 1654 პაციენტი რაც შეადგენს 10701 საწოლდღეს.

პედიატრიული განყოფილება.

პედიატრიული სამსახური შპს გორმედში ფუნქციონირებს 2018 წლიდან და 2019 წელს მომსახურება გაუწია 1007 პაციენტს, რაც წარმოდგენილია 4393 საწოლდღით.

პალიატიური განყოფილება:
შპს „გორმედის“ პალიატიურმა განყოფილებამ 2019 წელს მომსახურება გაუწია ქრონიკული, უკურნებელი დაავადების მქონე პაციენტებს, რომლების საჭიროებდნენ პალიატიურ მზრუნველობას. სულ ასეთი პაციენტების რაოდენობამ შეადგინა 209 პაციენტი, 1926 საწოლდღით.

ამბულატორიული მონაცემების მიხედვით საერთო სტატისტიკა გამოიყურება შემდეგნაირად:

ფსიქიატრიული განყოფილება:

ფსიქიატრიის სამსახურში 2019 წლის განმავლობაში ამბულატორიული მკურნალობა ჩაიტარა სულ 111126 პაციენტმა, რაც გაცილებით მეტია გასული წლების მაჩვენებელზე.

ფთიზიატრიულ სამსახურში 2019 წლის განმავლობაში ტუბერკულიოზის სავარაუდო შემთხვევაზე გამოკვლეული იყო 709 პაციენტი. კონტაქტში მყოფი 180 პაციენტი,
დადასტურებული შემთხვევით მკურნალობას გადიოდა 114 სენსიტიური პაციენტი, 14 რეზისტენტული პაციენტი, 13 ლატენტური ტუბერკულიოზის მქონე პაციენტი.

პოლიკნინიკური სამსახური:
პოლიკნინიკურ სამსახურში ამბულატორიულად მომსახურება გაეწია 83575 პაციენტს.

სისხლის ბანკი:

მომსახურება გაეწია 5120 დონორს.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კლინიკის შემოსავლების ძირითადი წყარო არის საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის შედეგად, პაციენტებზე გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი (კლინიკა მონაწილეობს საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამისა და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო

სრული შემოსავლის ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 31 დეკემბერს, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

(ლარი)

	შენიშვნა	**31.12.2019**
შემოსავალი	4	19,664,167
რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება	5	(3,644,829)
საერთო მოგება		**16,019,339**
გაყიდვის ხარჯი	6	(80,226)
საერთო და ადინისტრაციული ხარჯები	7	(9,519,579)
		-
საოპერაციო მოგება		**6,419,534**
ფინანსური შემოსავალი		648,001
ფინანსური ხარჯი		-
შემოსავალი კურსთაშორის სხვაობიდან		191,772
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		439,821
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(22,162)
პერიოდის მოგება		7,676,966
სხვა სრული შემოსავალი/ხარჯი		-
სრული შემოსავალი		**7,676,966**
მოგების გადასახადი		(543,158)
წმინდა მოგება		**7,133,808**

კომპანია აფასებს საკუთარ შედეგებს შემდეგი ძირითადი ფინანსური მაჩვენებლებით:

საოპერაციო მოგების მარჟა (საოპერაციო მოგება/საოპერაციო შემოსავალი)	2019	2018
	32.65%	35.15%

EBITDA (წმინდა მოგება+საპროცენტო ხარჯი+ცვეთა)/საოპერაციო შემოსავალი	2019	2018
	41.53%	47.86%
უკუგება აქტივებზე (ROA) (წმინდა მოგება/სულ აქტივებზე)	22.83%	22.31%

განვითარების გეგმები

2019 წლის სამედიცინო და საფინანსო მონაცემები კლინიკას საშუალებას აძლევს მომდევნო წელს დაგეგმოს არსებული სამედიცინო სერვისების გაფართოების და გაუმჯობესების ღონისძიებები, ასევე, ახალი სერვისების დამატებასთან დაკავშირებული სამუშაოები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ეს დამატებითი ფუნქციები კლინიკას მოუტანს გარკვეული ტიპის დამატებით შემოსავლებს 2019 წელთან შედარებით.

ინფორმაცია საკუთარი წილების შეძენის შესახებ

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კლინიკის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა- განმარტებით შენიშვნებში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, კლინიკა საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშეც. კლინიკის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი - არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კლინიკის მოთხოვნების (დებიტორული დავალიანების) ძირითადი ნაწილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოზე მოდის კლინიკა საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კლინიკა საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. კლინიკის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კლინიკა შეძლებისდაგვარად ახორციელებს რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკი - ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. კომპანია ახდენს ლიკვიდურობის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო.

საპროცენტო რისკი - საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 31 ივლისს შემდეგი პირის მიერ:

მთავარი ბუღალტერი: მაია ჯავახიშვილი

საკრედიტო რისკი - არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კლინიკის მოთხოვნების (დებიტორული დავალიანების) ძირითადი ნაწილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოზე მოდის კლინიკა საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კლინიკა საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. კლინიკის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კლინიკა შეძლებისდაგვარად ახორციელებს რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკი - ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. კომპანია ახდენს ლიკვიდურობის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყეევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო.

საპროცენტო რისკი - საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 31 ივლისს შემდეგი პირის მიერ:

მთავარი ბუღალტერი: მაია ჯავახიშვილი

"GORMEDI" LTD * 417876711 * შპს "ჰორმედი"